ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

ა.ა. #483

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,
ბატონ **გიორგი მღებრიშვილს**

<u>ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"</u>
თბილისი, საბურთალო, გ. ისკააძის ქუჩა #7

მ ი მ ა რ თ ვ ა

(ქობულეთის პოლიციის სამმართველოში, რევაზ ტაკიძისა და ბესიკ მახარაძის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ძალადობის გამოძიების პირად კონტროლზე აყვანის შესახებ)

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ორგანიზაცია „ახალგარზდა ადვოკატები" გაეცნო ქობულეთში, 2015 წლის 2 ნოემბერს, მოქალაქეების რევაზ ტაკიძისა და ბესიკ მახარაძის მიმართ, ადგილობრივი პოლიციის სამმართელობის წარმომადგენლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის სავარაუდოდ ჩადენის ფაქტს, რომლის მიმართაც, როგორც პროკურატურაში, ასევე შსს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. მოქალაქეების მიმართ ზემოქმედების სავარაუდო ფაქტები, ცნობილი საზოგადოებისთვის ადგილობრივი მედიის საშუალებებით გახდა. როგორც რეზო ტაკიძემ განაცხადა, ის პოლიციამ სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე დააკავა და მისგან ქობულეთში მომხდარი ყაჩაღობის აღიარებას ითხოვდნენ. მანვე დაასახელა იმ პოლიციელების გვარები (შაქარიშვილი, ანთაძე, დიასამიძე), ვინც დაკავების დროს და შემდგომ პოლიციის შენობაში, სავარაუდოდ, იძალადა. ამასთან, 2015 წლის 4 ნოემბერს, საზოგადოებისთვის, ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ცნობილი გახდა კიდევ ერთი სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის ფაქტი. ქობულეთის პოლიციის სამმართველო რევაზ მახარაძის შემდეგ, ფიზიკურ შეურაცხყოფაში, ბესიკ მახარაძემ დაადანაშაულა. როგორც მხარაძის ოჯახი აცხადებს, ბესიკ მახარაძეს პოლიცია ქობულეთში ჩადენილ ყაჩაღობას ედავება. ოჯახი აღნიშნავს, რომ ბესიკ მახარაძის დაკითხვის დროს, მის მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. ნაცემმა მოქალაქემ მიმართა მუნიციპალიურ საავადმყოფოსაც. როგორც რევაზ ტაკიძის, ასევე ბესიკ მახარაძის საქმეზე, ადგილობრივი საზოგადოება ობიექტურ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილებებს ელოდება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შენობასთან, მიმდინარეობს შიმშილობის აქციაც, რომელსაც ადგილობრივი უფლებადამცველები და სავარაუდოდ, ნაცემი მოქალაქეების ოჯახის წევრები მართავენ. ვფიქრობთ, საკითხი უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 599 010344

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

ძალადობას, წამებას, ადამიანის ღირსების შემლახველ მოპყრობას და უკანონობას, მათ შორის ქობულეთმაც, 2012 წლის 1 ოქტომბერს, მაღალი სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი თვითშეგნებით, უკვე უთხრა არა. მიგვაჩნია, რომ როდესაც არსებობს ასეთი მნიშვნელოვანი ბრალდება, არსებობს სახელმწიფოს მაღალი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც, აუცილებელია, გამოძიების მიმდინარეობის პროცესში, უფლებამოსილება შეუწყდეს პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც სახელდებიან მოქალაქეების მიმართ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შესრულებლად. ჩვენ უკვე გვაქვს, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი პრეცედენტი, როდესაც ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე, მოხდა პოლიციის სამმართველობის ხელმძღვანელისთვის უფლებამოსილების შეჩერება, 2015 წლის 13 ნოემბერს კი - აღნიშნული პიროვნების დაკავება.

არც ქობულეთში, არც ჩვენს სხვა ქალაქში, ძალადობის და სისტემური დანაშაულებების დაშვების ადგილი აღარ არის. ძალადობა, ცალსახად, წინა ხელისუფლების ხელწერაა. შესაბამისად, მოგმართავთ, რათა პირად კონტროლზე აიყვანოთ რევაზ ტაკიძისა და ბესიკ მახარაძის მიმართ დანაშაულის ჩადენის სავარუდო ფაქტის გამოძიება და დროებით შეუწყვიტოთ უფლებამოსილება ქობულეთის პოლიციის სამმართველოს იმ წევრებს, რომლებიც სახელდებიან ზემოაღნიშნული მოქალაქეების სავარაუდო ცემის საქმეში.

ამასთან, სამინისტრო დაინტერესდეს იმ საზოგადოებრივი განწყობებით, რომელიც ქობულეთის მოსახლეობაში არსებობს ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელთა საქმიანობის მიმართ, რათა სრულფასოვანი გახდეს ადამიანის უფლებების დაცვა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და დემოკრატიის სტანდარტი.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი
„ახალგაზრდა ადვოკატების"
ხელმძღვანელი

13 ნოემბერი, 2015 წ.
ქ. თბილისი